ქ. თბილისის დანიელ ჭონქაძის ქუჩის № 21 საპროექტო წინადადების სახელოვნებათმცოდნეო კვლევა

1. საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა და მოკლე ისტორიული მიმოხილვა.

ჭონქაძის ქ. №21 მდებარეობს ქ. თბილისის „ძველი თბილისის“ ადმინისტრაციულ ერთეულში. ქუჩის ეს მონაკვეთი განლაგებულია მთაწმინდის ქედის აღმოსავლეთ ფერდზე. საპროექტო ნაკვეთი ისტორიულ უბან „სოლოლაკშია“ (კერძოდ, ზემო სოლოლაკში) განთავსებული. ბოლო დროს აქ განლაგებული იყო მ. თოიძის სახელობის სამხატვრო პროფესიული ლიცეუმი.



ჭონქაძის ქ. № 21

უბნის ქვედა, სამხრეთ ნაწილში, შუა საუკუნეებში „მეფის ბაღები“ იყო განთავსებული, რომელთა მოსარწყავად, ხევში, სარწყავი არხები (არაბულად – „სულუ-ლაჰ“) გაუყვანიათ. თავად საცხოვრებლმა უბანმა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო განვითარება, ამჟამინდელი ამაღლების ქუჩიდან პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩის მიმართულებით. შედარებით ინტენსიურად უბნის განაშენიანება მას მერე დაიწყო, რაც 1905 წელს ფუნიკულორის ქვედა სადგური აიგო და თავად ამჟამინდელ ჭონქაძის ქუჩაზე, რომელიც მაშინ ჩიხს წარმოადგენდა, 1910-იან წლებში ცნობილი „ბოზარჯანცის სახლი“ აშენდა. სწორედ ესაა უახლოესი არქიტექტურული ნაგებობა, რომელიც ძეგლის ნიშნის სტატუსს ატარებს და ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიიდან 25-იოდე მეტრში მდებარეობს.

ქრონოლოგიურად, მოცემული ტერიტორიის შესახებ, გარკვეულ ინფორმაციას ვიღებთ ისტორიული რუკებისა და საარქივო ფოტოების მიხედვით.



1867 წლის რუკის ფრაგმენტი

1867 წლის რუკის მიხედვით ეს ადგილი ჯერ კიდევ აუთვისებელია და ძირითადად მწვანე საფარითაა დაფარული. მისგან სამხრეთ-დასავლეთით მთაწმინდის ქედზე კათოლიკების სასაფლაოა. თავად ქუჩას ივან გოდოვიჩის სახელი ერქვა, რომელიც საქართველოს მთავარმართებელი იყო 1806-1809 წლებში.

თითქმის ასეთივე სურათია 1884 წლის რუკაზეც.



1884 წლის რუკის ფრაგმენტი

1907 წლის რუკაზე ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე პირველი ნაგე-

ბობები გამოჩნდა, რომელზეც ექსპლიკაციის მიხედვით ორი სხვადასხვა ფუნქციის შენობებია დატანილი. სამხრეთით მდებარე „სპარსეთის საკონსულო“ უნდა იყოს, რის გამოც მის მიმდებარედ ჩამავალ ქუჩას საკონსულოს ქუჩა ეწოდა. სხვა შენობებში კი „ქალაქის ქალთა პროფესიული სახელოსნო“ იყო განთავსებული. ამ შენობებისგან დღეს არცერთი არაა შემორჩენილი, რადგან, როგორც გეგმაზე ჩანს, ისინი მკაცრად ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძზე არიან დაპროექტებულები, ხოლო დღევანდელი ნაგებობის გეგმარებითი სტრუქტურა ჭონქაძის ქუჩის პარალელურადაა წარმოდგენილი.



1907 წლის რუკის ფრაგმენტი



32	Консульство бельгійское .	7	IV	1
114	„ германское .	9	IV	4
95	„ персидское .	9	IV	4
121	„ турецкое . .	9	IV	4
29	Корпусъ тифл. кадетскій .	7	IV	1
269	Костелъ	6	V	9
33	Кружокъ (зимн. помѣщ.) .	8	IV	2
264	„ (лѣтн. помѣщ.) .	6	IV	9
213	Лагерь мингр. полка . . .	8	VIII	7
201	„ тифл. полка . . .	8	IX	7
326	Лазаретъ зак. ж. д. . .	3	IV	10
108	Ломбардъ городской . .	9	V	4
124	Лѣчебница гор. центр. . .	8	V	5
159	„ „ 2-е отд. .	9	VI	6
293	Магаз. военно-зап. аптечн.	5	III	10
298	„ общ. потр. служ. на зак. жел. дор. . .	5	IV	10
214	„ провіантск. продов.	9	VII	7
327	Мастерск. главн. з. ж. д. .	3	IV	10
95	„ професс. женск. городская. . .	9	IV	4
286	„ водопров. гор. .	6	IV	9
43	Межев. прис. тифл. суд. палаты	8	IV	2

1907 წლის რუკის ექსპლიკაციის ფრაგმენტი



1900-იანი წლების ფოტო; ისრით ნაჩვენებია „სპარსეთის საკონსულო“



1912 წელს გადაღებული თბილისის პირველი ფერადი ფოტოების სერიიდან; ფოტოგრაფი სერგეი პროკუდინ-გორსკი. ისრით ნაჩვენებია „სპარსეთის საკონსულო“



1913 წ. რუკის ექსპლიკაციის ფრაგმენტი



1913 წლის რუკის ფრაგმენტი

1913 წლის რუკის მიხედვით ქალაქგეგმარებითი სიტუაცია თითქმის იგივეა, ოღონდ ექსპლიკაციაში მხოლოდ „ქალაქის ქალთა პროფესიული სახელოსნო“-ა დარჩენილი. როგორც ჩანს ამ წლებში ირანის საკონსულო ამავე ქუჩაზე, „ალმასის სასახლის“ სახელით ცნობილ სახლში (ჭონქაძის №11) გადავიდა, რომელიც მანამდე სპარსეთის კონსულის მირზა რეზა ხანის რეზიდენციას წარმოადგენდა.



1924 წლის რუკის ფრაგმენტი

1924 წლის რუკაზე ქუჩის ეს მონაკვეთი, რომელიც მანამდე ჩიხს წარმოადგენდა, მართკუთხა ტეხილებით, ჩიტაძის ქუჩას და ფუნიკულორის ქვედა სადგურისკენ გაიჭრა.

1932-34 წლებში შემუშავებული თბილისის გენგეგმის მიხედვით ჭონქაძის ქუჩა ჩიტაძის ქუჩას დიოგონალურად შეუერთდა. 1947 წელს კუთხეში საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობა, შსს-ს პოლიკლინიკის კორპუსი აიგო, სადაც ამჟამად სასტუმრო „ასტორია-თბილისი-I“-ია განლაგებული. 1953 წელს აიგო მრავალბინიანი ხუთსასართულიანი საცხოვრებელი სახლი (ჭონქაძის 14) რომლის გარე კონტურმა ქუჩის ხაზის „რბილად მოხვევას“ გაუსვა ხაზი.

1930-იანი წლების დასაწყისში უნდა აგებულიყო ჩვენთვის საინტერესო ობიექტი რომელშიც „საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი“ – (“ФЗУ”) გაიხსნა. ხოლო 1945 წლის 10 აპრილს ამ შენობაში გაიხსნა №11 სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელი, რომელსაც 1953 წლის 16 თებერვალს მოსე თოიძის სახელი მიენიჭა, 1961 წლიდან კი გახდა მოსე თოიძის სახელობის №11 პროფტექნიკიური სასწავლებელი. შენობამ მომდევნო წლების განმავლობაში მრავალი გაადაკეთება განიცადა – ძირითადად მოცულობის გაფართოება-გამსხვილების ხარჯზე.



ჭონქაძის ქ. № 14



ჩიტაძის ქ. № 12

2. არსებული მდგომარეობა

ჩვენთვის საინტერესო ნაგებობა გეგმის რთული კონფიგურაციით ხასიათდება. გეგმას დაკბილული, არასწორი მართკუთხიანი ტრაპეციის ფორმა აქვს. შენობის საფასადო, გრძელი მხარე, ქუჩის პერიმეტრს მიუყვება. ნაგებობა ქუჩის მხრიდან ორსართულიანია; ხოლო, მის საპირისპიროდ, რთული რელიეფის გამო, 4 სართულამდე ჩამოდის. შენობას აქვს სარდაფის სართული.

ჭონქაძის ქ. № 21
ძირითადი კორპუსის
I სართული გეგმა



საფასადო მხარეს -1 სართულის გასანათლებლად, ფასადის მარცხენა ნაწილი ქუჩის წითელი ხაზიდან სიღრმეშია შეწეული. ასევეა შეწეულია შენობის მარჯვენა ფრთაც. მარჯვენა ნაწილში განლაგებული პორტალი თავიდან ერთ სართულიან მოცულობას წარმოადგენდა ბრტყელი გადახურვით, ზემოდან ტერასით, რომელსაც თაბაშირში ჩამოსხმული წნული ორნამენტით შემკული პარაპეტი საზღვრავდა. მოგვიანებით ამ მოცულობაზე ლითონის კონსტრუქციებით შეკრული შემინული გალერეის ტიპის სართული დააშენეს.



ჭონქაძის ქ. № 21





შენობის საფასადო მხარე, გარდა მარცხენა შეწეული ნაწილისა (რომელიც შელესილია), თითქმის მთლიანად მოპირკეთებულია ეკლარის ქვით. მარცხენა შეწეულ ნაწილში პირველი სამი ღიობი კანელიურებიანი პილასტრებითაა გამოყოფილი, ხოლო შემდეგ ოთხ ღიობს შორის ქვედა სართულზე პილასტრები რუსტრირებული პროფილებითაა შემოზღუდული, მეორე სართულზე კი სადა პილასტრებით გრძელდება. ეს ფაქტორი და გეგმის ანალიზი (სახურავის თუნუქის საბურველის ნაკერებიც ადასტურებს ამას) იმაზე მიუთითებს, რომ თავდაპირველად, მთავარი პორტალი ცენტრულად სიმეტრიულად იყო განლაგებული და შემდგომ მარცხენა ნაწილი იქნა მიშენებული.

ძირითადი ნაგებობა აგურისაა. მარცხენა ფრთაში კიბის უჯრედია განთავსებული, რის გამოც ღიობები, კიბის მარშების საშუალედო ბაქნების გამო, სხვადასხვა სიმაღლისაა. კიდურა ღიობის ქვეშ მოთავსებულია სადარბაზოს კარი, რომლის ზევით მცირე კარნიზია განთავსებული.

ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე ორი ეზოა, რომლებიც ერთმანეთისგან დიაგონალურად მიშენებული სათავსით (რკინაბეტონის კარკასით და აგურის შევსებით) ჰყოფს. ძირითად ნაგებობას წითლად შეღებილი თუნუქის ქანობიანი სახურავი აქვს. ფასადი ეზოს მხრიდან შეულესავი და დაუმუშავებულია.









ინტერიერიდან აღსანიშნავია ორსინათლიანი დარბაზი სადაც მთავარი შესასვლელის ვესტიბიულიდან ვხვდებით. დარბაზის პერიმეტრის სამ მხარეს ლითონის კესონებიანი აივნებია განთავსებული. ჭერის მოხატულობა და ვიტრაჟები სასწავლებლის მოსწავლეების მიერაა შესრულებული. კიბის უჯრედის მოზაიკური ვიტრაჟი ბოლო პერიოდშია შექმნილი, როდესაც აქ სავაჭრო სამხატვრო სალონი იქნა გახსნილი.



ტერიტორიის ფართობი 3841 კვ.მ-ია და საცხოვრებელ ზონა 5-ში (სზ-5) მდებარეობს.

ნაგებობის ფიზიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, რაც რთული რელიეფის პირობებში, მიწისქვეშა დინებების მიერ, საძირკვლის გამორეცხვით და შენობის არათანაბარი ჯდენით უნდა იყოს გამოწვეული. რიგ შემთხვევებში სახეზეა უხარისხო მშენებლობით გამოწვეული პრობლემებიც.











შენობის კედლებს ფართო ბზარები დაუყვება. საფასადო პერანგი ხშირ შემთხვევაში კედლის სიბრტყესაა დაცილებული. ნალესობა ბევრგან ატკეჩილია. სართულშუა გადახურვები დეფორმირებულია, რაც ჭერის და იატაკის ტალღოვნებას იწვევს. ბევრგან კედლის ვერტიკალური სიბრტყეები დაქანებულია. ფანჯრის მინების ნახევარზე მეტი ჩალეწილია. შეკიდულ-გადაჭიმული ჭერი ჩამოხეულია. დარბაზის აივნის ლითონის კონსტრუქციები იმდენად დაზინებულია, რომ ზოგან გაგლეჯილიცაა. ბევრგან კიბის უჯრედის და შიდა აივნის მოაჯირები მორღვეული და დაზიანებულია. მთელ ტერიტორიაზე ანტისანიტარია სუფევს.

3. მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები.

ა) არსებული შენობის მხატვრული სახე ნაკლებღირებული და ქაოტურია; უხარისხო მიშენებებით კიდევ უფრო დამძიმებულია მისი მთლიანობის აღქმა. იმ პერიოდში როდესაც ეს შენობა ყალიბდებოდა იმდენად ხშირი იყო საბჭოთა არქიტექტურაში მხატვრულ-ესთეტიკური ტენდენციების ცვლილება (1920-1980 წწ), რომ ყოველივე ამის ასახვა და ისიც მდარე ხარისხად ერთ ნაგებობაში საკმაოდ მძიმე სურათს იძლევა. ხოლო, არსებული დაზიანებების მასშტაბი იმდენად ყოვლისმომცველია, რომ მისი „გაცოცხლება“ შეუძლებელია. უკიდურეს შემთხვევაში ქუჩის ურბანულ-მოცულობით სივრცის შესანარჩუნებლად, შესაძლოა წითელი ხაზის გასწვრივ პორტალის მოცულობის კოპირება და ახალი ფუნქციით დატვირთვა.

ბ) საპროექტო შენობის მოცულობის და გეგმარების შემუშავებისას გასათვალისწინებელი იქნება მიმდებარე ნაგებობების მასშტაბი და ხედვის კუთხეთა ისე წარმოჩინება, რომ შესაბამისობაში იყოს უბნის სივრცით-მოცულობით მოთხოვნებთან. მკაცრად დასაცველია ქალაქმშენებლობითი კოეფიციენტები და შესაძლო ფარგლებში კოეფიციენტთა ოდნავ დაბალი ნიშნულიც მისასალმებელი იქნება. მნიშვნელოვანია, რომ ესკიზური პროექტი და ფოტომონტაჟი შესრულდეს ნაგებობის ფართო ხედზე.

გ) გასათვალისწინებელი იმ მწირი მწვანე ნარგავთა შენარჩუნებაც, რაც საკმაოდ ნაკლულია მოცემულ გარემოში.

4. მოძიებული ბიბლიოგრაფიული და ინტერნეტ მასალა.

1. ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება – 1801-1917 წლები. თბილისი, 1963
2. კვირკველია თ., ძველი თბილისის ქუჩებსა და ქუჩაბანდებში, თბილისი, 1989
3. Квирквелия, Т. Архитектура Тбилиси, Москва, 1985
4. Квирквелия, Т. Мгалоблишвили, Н. Архитектура Советской Грузии, Москва, 1986
5. http://sololakele.blogspot.com
6. http://oldcolor.livejournal.com/57989.html

გიორგი ბაგრატიონი
არქიტექტორ-ხელოვნებათმცოდნე

13. III. 2018 წ.